

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №9

ქ. გარდაბანი

14 აგვისტო 2024 წელი 13:00 სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი:

სამირ ხიალოვი	ისლამ მამედოვი
ზაზა ონიანი	მანია შამედოვა
ვუგარ მამედოვი	ანი მანჩხაშვილი
ტარიელ ჯანხოთელი	ფლორა ასკეროვა
ლევან ნიჟარაძე	გუსეინკულუ მუსაევი
გიორგი გურულიშვილი	აბდულალი იბრაგიმოვი
თამარ ხაჩიძე	ზურაბ კორახაშვილი
დავით ჭინჭარაული	ზაბიტ მამედოვი
ზურაბ ბენდელიანი	ლალი კახურაშვილი
ლაშა ქართლოსიშვილი	მეითხან მეითხანოვი
ლევან ბეგლარიშვილი	ბეთქილ კახიანი
დავით ებილაშვილი	რასიმი ისაევი
შახადატ მეხრალიევი	
თორნიკე ქავთარაძე	
მირზა მირზოევი	
კამრან ბაბაევი	

**სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
პირველი რანგი- პირველადი სტრუქტურული  
ერთეულის (აპარატი) ხელმძღვანელი -ოთარი გავაშელიშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
პირველი რანგი- პირველადი სტრუქტურული  
ერთეულის (აპარატი) ხელმძღვანელის მოადგილე - ნაია დათუაშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
მეორადი სტრუქტურული ერთეულის (სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება)  
ხელმძღვანელი - ნინო დათუაშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
მეორადი სტრუქტურული ერთეულის (საზოგადოებასთან და მედიასთან

ურთიერთობის განყოფილება) ხელმძღვანელი - მარიამ ჟღენტი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
მეორადი სტრუქტურული ერთეულის  
(საორგანიზაციო განყოფილება) ხელმძღვანელის  
მოვალეობის შემსრულებელი - დავით სანაძე

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო  
განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული  
ერთეულის უფროსი - ბესიკ მაისურაძე

### **საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი**

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

*მომხსენებელი: შალვა გურულიშვილი  
თანამომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე*

2. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოებისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

*მომხსენებელი: ზურაბ ბენდელიანი*

### **საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ**

სხდომის თავმჯდომარემ – გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ – მიხეილ გედეხაურმა რიგგარეშე სხდომა გახსნილად გამოაცხადა, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად.

დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი:

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

*მომხსენებელი: შალვა გურულიშვილი  
თანამომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე*

2. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოებისა და საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

*მომხსენებელი: ზურაბ ბენდელიანი*

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა - ზურაბ კორახაშვილმა, ზაბიტ მამედოვმა, ლალი კახურაშვილმა და მეითხან მეითხანოვმა, ბოიკოტის ნიშნად, დატოვეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა და მონაწილეობა არ მიიღეს საკითხების განხილვაში.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25

წინააღმდეგი – 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

## საკითხი 1

**„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსმა - ბესიკ მაისურაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებით გარდაბნის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო - 1,481,245 ლარი და შეადგინა - 10,957,143 ლარი.

„მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის N1025 განკარგულების თანახმად გარდაბნის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 615,525 ლარი.

ჭარბი შემოსავლების მიღების შედეგად გაიზარდა არაფინანსური აქტივების კლების შედეგად მისაღები შემოსავლები - 591,514 ლარით, რაც გადანაწილდა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებისთვის:

- სოფ. კრწანისში სკვერის მოწყობა(ეკლესიის მიმდებარედ) - 46,426 ლარი;
- სოფ. სართიჭალაში წალმიანის დასახლებაში გარე განათების მოწყობა - 11,860 ლარი;
- ქ. გარდაბანში ლელაშხას დასახლებაში სასაფლაოს შემოღობვა - 66,792 ლარი;
- სოფ. ნაგებში კოშკის ეზოს კეთილმოწყობა - 23,393 ლარი;

- სოფ. ლემშვენიერაში კოშკის ეზოს კეთილმოწყობა - 6,727 ლარი;
- სოფ. ლემშვენიერას შესასვლელში აბრის მოწყობა - 12,239 ლარი;
- სოფ. აღთაკლიაში (ტიპური) სკვერის მოწყობა - 13,724 ლარი;
- სოფ. ახალ სამგორში შიდა გზების რეაბილიტაცია - 137,925 ლარი;
- სოფ. მარტყოფში (ტიპური) სტადიონის მოწყობა - 48,884 ლარი;
- სოფ. მუხროვანში (ტიპური) სტადიონის მოწყობა - 48,884 ლარი;
- სოფ. ლემშვენიერაში (ტიპური სკვერის მოწყობა) - 13,724 ლარი;
- სოფ. ყარაჯალარში შიდა გზების რეაბილიტაცია - 44,135 ლარი;
- სოფ. სართიჭალაში სტადიონზე ტრიბუნების მოწყობა - 71,801 ლარი;
- სოფელ სართიჭალაში სკვერის მოწყობა (მიმდინარე პროექტი) - 45,000 ლარი;

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის:

**კენჭი ეყარა დადგენილებას – „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

კენჭისყრის შედეგები:  
 მომხრე – 25  
 წინააღმდეგი – 0

მიღებულია დადგენილება №20 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

## აკითხი 2

**„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოებისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

მომხსენებელმა - ზურაბ ბენდელიანმა საპატიო მიზეზის გამო დააგვიანა და საკითხი გატანა ვერ მოახერხა საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე, შესაბამისად საკრებულოს წევრმა - ანი მანჩხაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოებისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის:

კენჭი ეყარა დადგენილებას - „გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოებისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:  
მომხრე – 25  
წინააღმდეგი – 0

მიღებულია დადგენილება №21- „გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოებისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ (საკრებულოს თავმჯდომარემ), საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

მიხეილ გედეხაური

